

ვინ აბეზს კასუსს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მდგომარეობაზე საქართველოში

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ან უკვე გარდაუვალა. მისი შეჩერების გონივრული მექანიზმი ფაქტობრივად არ არსებობს და არცაა საჭირო უაზრო დაპირისპირება. ყველაზე რაციონალური, რაც შეიძლება ამ პროცესს ნაციონალურ (სახელმწიფო) სივრცეში შემოჰყვეს და ჩვენი ძალისხმევა მივაშველოთ, ეს მისი დადებითი ჩვენებების ოპტიმალური დოზით მიღება და გვერდითი მოვლენების განრიდებაა.

ბიზნესიც, როგორც სოციალური მოთხოვნების უზრუნველყოფის საშუალება (ეკონომიკის განვითარების ბაზისი), ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი კი, როგორც ბიზნესის განუყოფელი ნაწილი (ინფორმაციის მოპოვებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი), გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესის შემადგენელია და ამ სფეროში განსაკუთრებით აუცილებელია რაციონალური მობილიზება - ევროპული გამოცდილებისა და მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.

შორს რომ არ წავიდეთ, ამ საუკუნის დასაწყისიდან დასავლეთისკენ სწრაფვას (ევროსივრცეში დამკვიდრების აკვიატებას) თან ახლდა ევროპული ღირებულებების (კულტურის, პრაქტიკის, ნორმების) „კოპირება“ და ყოველგარი ადაპტირების გარეშე, უცხო გარემოსთვის ძალდატანებითი თავსმოხვევა, ამასთან, PR-ეფექტებით იმის დემონსტრირება, რომ ყველაფერი კარგადაა. „რეფორმატორობის იმიჯი“, „ადმაგალი რეიტინგები“ და „მიღწევების ტირაჟირება“ აღიქმებოდა, როგორც წარმატება, მისაბამი მაგალითი, სტაბილური წინსვლის გარანტია. ფაქტობრივად კი რეალური მდგომარეობა არსებითად უცვლელი (მძიმე) რჩებოდა.

მოჩვენებით სამყაროში არსებობა უნაყოფოა (წარსულის გაკვეთილებიდან თუნდაც ეს დასკვნა მაინც უნდა გამოვიტანოთ). კარგია, როცა საქართველოზე იქმნება დადებითი შთაბეჭდილება და საერთაშორისო ფორუმებზე გზვდებიან განსაკუთრებული ყურადღებით, მაგრამ ამისთვის, მინიმუმ, ახლოს მაინც უნდა იყო სასურველ ვითარებასთან.

როცა განვითარებასა და რეფორმებზე (ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებაზე) თავს ვაწონებთ გარესამყაროს, უნდა გვესმოდეს, რომ ამ ილუზიურ საფარქვეშ არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც აფერხებენ პროგრესს. ეს პრობლემები კი არ მივჩქმალთ, გამოვიტანოთ სამჯავროზე, გამოვავლინოთ რესურსები და მათი დაძლევის შესაძლებლობები, მოვახერხოთ ხარვეზების (თუ დამუხტული ნაღმების) ნეიტრალიზაცია.



იური პაპასიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი,
პროფესორი



გიორგი რუსიაშვილი
ეკონომიკის აკადემიური
დოქტორი, პროფესორი

სამწუხაროდ, ამ მხრივ, საქართველოში მდგომარეობა სამაგალითო არ გახლავთ. მეტიც, ბუღალტრულ აღრიცხვასა და აუდიტის სფეროში სრული ქაოსი და არაკომპეტენტურობაა და ხმასაც არავინ იღებს. აღნიშნულზე ხაზგასმით მიანიშნებს არაადექვატური რეგულაცია, მათ შორის ისიც, რომ უპირობოდ (ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის გარეშე, შოკური ჩარევით) იქნა გაზიარებული და მიღებული, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, ბუღალტრის და აუდიტორის ეთიკის კოდექსის ევროპული რედაქცია. ბაზისური მდგომარეობა, მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა ეკონომიკის

პარისისა და აუდიტი

ტრანსფორმაციული პროცესები მეტი დაკვირვების, არსებული პრაქტიკის, უნარ-ჩვევების ადაპტირების, ეროვნული ტრადიციების და ჩვეულებების გათვალისწინების ობიექტი უნდა ყოფილიყო.

დრომ, ვითარების ცვლილებამ, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობამ ნაწილობრივ დაარეგულირა ემოციურ ფონზე მიღებული გადაწყვეტილებების თანმიმდევრული უარყოფითი ჩვენებები (ვერ ვიტყვით, რომ არაფერი გაკეთებულა, კატასტროფის პირსავართ და პერსპექტივა არ ჩანს), თუმცა უდავოა, შედეგები ბევრად უკეთესი იქნებოდა გარდამავალ ეტაპად ეროვნული სტანდარტები მიგველო, განსხვავებული ინტერპრეტაციები დაგვემკვიდრებინა ცალკეულ მტკიცებულ, ან გასახორციელებლად რთულ საკითხების მიმართ.

არაფერია იმაში ცუდი, სახელმწიფოს ცალკეულ საკითხებზე გააჩნდეს ეროვნული სტანდარტები (დროებით მაინც), ვიდრე უფრო მაღალი რეგულაციის შესაბამისი საფუძველი შეიქმნება. პირიქით, ეს მეტი პასუხისმგებლობა, გამოცდილების გამოვლენის უნარი, საკუთარი ღირსებების (მოსახლეობის, კულტურის, მამასადამე, სხვების) პატივისცემის გამოხატვა, ამასთან, ბევრად რთული, მაგრამ საკითხის კომპეტენტური გადაწყვეტაა. ეროვნული სტანდარტი სულაც არ ნიშნავს საერთაშორისო სტანდარტის უარყოფას ან/და მასთან არსებით შეუსაბამობას. ევროპის სხვა ქვეყნებმა ეს გზა გაიარეს. ბევრ ქვეყანას ახლაც აქვს ეროვნული სტანდარტი და მათ ამის გამო, პრობლემები არ შექმნიათ.

2013 წლამდე მოქმედი ნორმატიული აქტების თანახმად, კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირება 1999 წლიდან კერძო სამართლის სუბიექტს, პროფესიული ორგანიზაციას (ბაფ-ს) ეკისრა (მისი აქტიურობის და სხვა ალტერნატივის არარსებობის გამო). აუდიტის სფეროში კი მარეგულირებელ ორგანოდ საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო იყო წარმოდგენილი. მათი მოქმედების (თუ უმოქმედობის) შედეგად, კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტური საქმიანობის ხარისხი, პროფესიის ავტორიტეტი და კომპეტენტურობის მასშტაბი არსებითად არ შეცვლილა. მარეგულირებელი ინსტიტუციები თავიანთი ყოველდღიურობით იყვნენ დაკავებულნი და უფრო ბიზნესსუბიექტების ინტერესებს ავლენდნენ. ამ და სხვა მიზეზთა გამო, მათ არ ეყოთ რესურსები (მათ შორის, პოტენციური არსენალი) დროებით სტანდარტებზე და მამასადამე, ბევრად წარმატებულ შედეგებზე ემუშავათ.

განვითარებულმა მოვლენებმა და პოსტრევილუციურმა (მხედველობაშია 2000 წლის შემდგომი პერიოდი) პროცესებმა ფაქტობრივ ვითარებასა და მოქმედ კანონმდებლობაში კორექტივების შეტანის აუცილებლობა წარმოშვა (რაც უდავოდ განსახორციელებელი იყო), თუმცა ლობისტური დინებებისა

და ცალკეულ პირთა კერძო ინტერესების გათვალისწინებით, წინა მოწვევის პარლამენტმა, თავისი საქმიანობის მიწურულს, ბოლო სასესიო სხდომაზე, ნაჩქარევად, უფრო უარესი რეგულაცია მიიღო და 2013 წლის იანვრიდან ამოქმედდა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“, რომლითაც გაუქმდა რა წინამორბედი კანონები და ინსტიტუციური იერარქია, ამჯერად უკვე ერთ რეგულაციაში მოექცა ეს ორი განსხვავებული მიმართულება და ორივე სფერო თვითრეგულირებას (ბაფ-ის განმგებლობას) დაექვემდებარა, რაც სხვა პროფესიული ორგანიზაციების მხრიდან მწვავე უთანხმოების, დისკუსიის საგანი გახდა. თვითრეგულირების პრაქტიკისგან, მისი უკიდურესად მწვავე გვერდითი მოვლენების გამო, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აგრეთვე პროფესიული ორგანიზაციების აკრედიტაციის, აუდიტორთა ორდონიანი რეესტრის, ბუღალტერთა და აუდიტორთა სერთიფიცირების კანონით განსაზღვრული ნორმები (ამ დროისთვის საქართველოში ბაფ-ის გარდა, 2 პროფესიული ორგანიზაცია - „აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია“ და „ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება“ ფუნქციონირებს). სხვა ბევრ ხარვეზთან ერთად, კანონი ამჟამად გამოხატავს მონოპოლიურ, კორუფციულ სულისკვეთებას, არ შეესაბამება ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივებს. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ კანონის ამოქმედებამდე, გამოიკვეთა მისი არსებითად გადამუშავების გარდუვალობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო მწვავე პრობლემების წარმოქმნა. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა საბაზო კანონპროექტი (სათადარიგო ვარიანტებიც), რომელშიც გათვალისწინებული იყო პროფესიული ორგანიზაციების პრინციპული შენიშვნები, დღემდე ვითარება არ შეცვლილა. კანონი პრაქტიკულად არ მუშაობს. მასში უმნიშვნელო ჩასწორების გარდა, საფუძვლიანი ცვლილებები ჯიუტად არ შეაქვთ და შედეგად, ხანგრძლივდება გაურკვეველი ვითარება, ბაფ-ის მონოპოლიურ მდგომარეობა. ფაქტობრივად, სახეზეა ქაოსური მდგომარეობა, იზღუდება პროფესიისა და დარგის განვითარება.

ადრე თუ წინა ხელისუფლების ახირებებს მიეწერებოდა ასეთი სიჯიუტე, ამჟამად არც ახალ ხელისუფლებას ეყო გამოცდილება გაერჩია კარგი ცუდისგან და გამოევიდნა ნება ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

„ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუმართაობაზე, მის მონოპოლიურ განზრახვებზე უცხოელი, საქვეყნოდ ცნობილი, დარგის აღიარებული ექსპერტებიც აღნიშნავენ (რობერტ.ვ. მაკგიდა სხვები), თუმცა მათი მოსაზრებებიც იგნორირებულია.

სახედამხედველო ორგანო, რომლის არ არსებობა მოქმედი კანონის სერიოზული ხარვეზია, პრინციპული მნიშვნელობისა და ევროპის პარლამენტისა

და ევროპის საბჭოს დირექტივებითაცაა გათვალისწინებული, მავანთა მეცადინეობით, მისი შექმნა მიეწოდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანას. არსებული პროექტის თანახმად, საზედამხედველო ორგანოს შექმნა გათვალისწინებულია ფასიანი ქაღალდების კომისიასთან, რის გამოც, მისი რეალიზაცია თავიდანვე განწირული იყო, რამდენადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს (ახლო მომავალშიც არაა მოსალოდნელი მისი ამოქმედება), გარდა ამისა, აქ იკვეთება ლობისტური და უწყებრივი ინტერესები (სხვა დეტალებზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს).

ასეთი ვითარების გაგრძელება დამღუპველია და ამდენად, არ უნდა დავუშვათ.

რაც სავალალოა, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი გავლენების დაყოფა/გადანაწილების სფეროდ გადაიქცა.

რეფორმებად მონათლული არაკოორდინირებული ჩარევების შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა კვაზი ვითარება. ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რეგულაციების ბაზაზე, აუდიტს ატარებს სამი ინსტიტუციური წარმონაქმნი: **სახელმწიფო აუდიტის სამსახური** (ყოფილი კონტროლის პალატა), **შემოსავლების სამსახური** და **დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიები**. მოქმედ ნორმატიულ აქტებში ამკარად იკვეთება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, შემოსავლების სამსახურის და კერძო სექტორში ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული გაერთიანებების კერძო, უწყებრივი თუ ბიზნეს-ინტერესები. ფაქტობრივად, სამივე მიმართულებას გააჩნია პრეტენზია (დეკლარირებულია, რომ) თავიანთი კომპეტენციის (რეგულაციას დაქვემდებარებულ) სფეროებში ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი ტარდება (მიმდინარეობს) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც, რბილად რომ ვთქვათ, მხოლოდ განაცხადია და ხმაურიანი სტარტია შორ დისტანციაზე:

- საჯარო სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების გამოყენებისა და ხარჯვის აუდიტს ახორციელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური. არეალის გაფართოების მიზნით, მის გამგებლობაში ჩამოყალიბდა სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტი“. ამ ინსტიტუტის ფუნქციებია: საჯარო აუდიტის სწავლება, საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირება და განგრძობადი სავალდებულო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, კვლევითი/ანალიტიკური, საექსპერტო, საკონსულტაციო და **საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურება**“, თუმცა ფაქტობრივად ატარებს აუდიტსაც (რაც ფასიანია). ინსტიტუტი პასუხისმგებელია საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების ხარისხის კონტროლის სათანადო პოლიტიკის, პროცედურების შემუშავებასა და გამოყენებაზე. კანონის შესაბამისად, ინსტიტუტის აუდიტორული მომსახურების ხარისხს უზრუნვე-

ლყოფაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახური, თუმცა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს შეუძლია არ გაითვალისწინოს „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ აუდიტორული შეფასებები.

რამდენად საჭიროა საჯარო სექტორს გაეწიოს აუდიტორული მომსახურება (ბუღალტრული მომსახურება, კომპილაცია, ექსპერტიზა, კონსულტაცია საფინანსო, დაბეგვრის და სამეურნეო საქმიანობაში და მასზე ბიუჯეტური სახსრების ხარჯვა), სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ურთიერთობა, ან მათი პარალელური უფლებამოსილებები, როგორც თავნებობის ნიმუში, ცალკე თემაა. აქ მხოლოდ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ საჯარო სექტორში აუდიტორული მომსახურების უფლება აქვს მხოლოდ სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტს“. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საჯარო სექტორში აუდიტის და აუდიტორული მომსახურების ჩატარება დამოუკიდებელ (სხვა) აუდიტორულ კომპანიებს შეეზღუდათ და ბაზრის ეს ნაწილი მთლიანად სახელმწიფო აუდიტის ინტერესებში მოექცა;

- გადასახადის გადამხდელებთან შემოსავლებისა და ხარჯების, შესაბამისად, გადასახადების გაანგარიშებებისა და გადახდის შემოწმებას ახორციელებს შემოსავლების სამსახური. რატომღაც ამ პროცესმა აუდიტის სახელწოდება მიიღო. გადამხდელს ეძლევა არჩევანის უფლება და საგადასახადო შემოწმების (ალტერნატიული აუდიტის) ჩატარება ანდოს საგადასახადო ორგანოს ან შეუძლია მოიწვიოს სხვა უფლებამოსილი პირი. აღნიშნულ სფეროში აუდიტის ჩატარება და აუდიტის განმახორციელებელ პირთა შერჩევა რეგულირდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებებით. ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელ პირის სტატუსის მინიჭებისთვის არ მოითხოვება აუდიტორის კვალიფიკაცია ან სერთიფიკატი. ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელ პირთა რეესტრს აწარმოებს შემოსავლების სამსახური. ალტერნატიული აუდიტის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირები პირობითან დაყოფილია სამ კატეგორიად: **A, B და C**.

A კატეგორიის ჩამონათვალში უპირობოდ ჩაირთო დიდი ოთხეულის და საერთაშორისო ქსელის აუდიტორული კომპანიები, აგრეთვე განსაკუთრებული გავლენის ხანძლივი პრაქტიკის მქონე თუ ახლად აღმოცენებული მეწარმე სუბიექტი.

B კატეგორია დაკომპლექტდა ნაკლებად ცნობილი აუდიტორული კომპანიებისგან, ხოლო **C** კატეგორიის ჩამონათვალში მხოლოდ ფიზიკური პირები არიან, რომელთა ნაწილს აუდიტური საქმიანობის პრაქტიკა თუ შესაბამისი კვალიფიკაცია არც ქონდა.

გადამხდელს, რომელსაც წლიური ბრუნვა აქვს 300000 ლარამდე, შეუძლია აირჩიოს **C** კატეგორიის ჩამონათვალში ჩართული პირი. 300000-მდე ბრუნვის მქონე გადამხდელი უფლებამოსილია ხელშეკრულება გააფორმოს **B** კატეგორიის ჩამონათვალში

აღრიცხვა და აუდიტი

ჩართულ პირთან, ხოლო 3 მლნ. ლარის ბრუნვის ზევით გადამხდელი მხოლოდ A კატეგორიის უფლებამოსილ პირებს უნდა დაუკავშირდნენ. მომსახურების ღირებულება განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, თუმცა A კატეგორიის ობიექტებისთვის ის ტრადიციულად მაღალია.

აღნიშნული ინიციატივა ორიენტირებულია ფისკალურ ეფექტზე და შედეგებიც განსაკუთრებულად შთამბეჭდავია, თუმცა, თავის არსით, „ალტერნატიული საგადასახადო აუდიტი“ მიზნულია საგადასახადო კანონმდებლობასთან და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები აქ არ ვრცელდება (სრულდება). ჩატარებული ალტერნატიული აუდიტის ხარისხის კონტროლს (მონიტორინგს) ახორციელებს შემოსავლების სამსახური ერთიანი კითხვარის შესაბამისად. ცალკეულ შემთხვევაში, კონტროლის განმახორციელებელი პირის კომპეტენცია (დასკვნები თუ წინადადებები) აუდიტის ჩამტარებელი პირის გამოცდილებაზე ბევრად დაბალია და პრაქტიკულად, პროცესს ხელოვნურად ართულებს (ქმნის სრულიად უშედეგო ბარიერებს).

ამდენად, კლასიკური გაგებით, ეს არ არის აუდიტი და არც აუდიტორული მომსახურება, თუმცა ამ მიმართულებითაც ინტერესთა ჯგუფი ჩამოყალიბებულია და ბაზარს შემოსავლების სამსახური აკონტროლებს;

- გაცილებით რთულ, არახელსყრელ და ფაქტობრივად უპერსპექტივო ვითარებაში აღმოჩნდნენ დამოუკიდებელი აუდიტორი კომპანიები და აუდიტორები, რომელთა გავლენის სფეროდ მოიაზრება მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები. ამასთან, საყურადღებოა, რომ მცირე ბიზნესისა და საშუალო ბიზნესის კატეგორიებისთვის საწარმოთა მიკუთვნების შკალა, ევროპულ მიდგომებთან შედარებით, საქართველოში ბევრად დაბალია.

მოქმედი ბიზნესსტრუქტურების არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის და დაბალი მოტივაციის გამო, მცირე და საშუალო მეწარმე სუბიექტებისთვის ფინანსური ანგარიშგება და აუდიტი არ არის მოთხოვნადი, მით უმეტეს შესრულების ხარისხი არ გამოირჩევა მაღალი მახასიათებლებით და შედეგობრივი თვალსაზრისით, მათზე გაღებული ხარჯის ექვივალენტსაც არ იძლევა. ამ კომპანიების სიფრთხილე და ძალისხმევა მთლიანად მიმართულია საგადასახადო რისკების ნეიტრალიზაციისკენ (რაც ცალსახად არ გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების აუცილებლობას და მათ დაცვას).

საქართველოში სავალდებულო აუდიტს ექვემდებარება აუდიტის ობიექტთა მხოლოდ 5-8 %. ამასთან, სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლება ფაქტობრივად დასაკუთრებული აქვს დიდი ოთხეულის წარმომადგენლებსა და საერთაშორისო ქსელში ჩართული კომპანიების ნაწილს. ამდენად, ამ სფეროშიც ინტერესთა სფერო მკაფიოდ შემოსაზღვრულია.

აუდიტორთა ფართო წრისთვის რჩება მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი სუბიექტები, რომელთაც საგადასახადო აღრიცხვის და იშვიათი შემთხვევის გარდა, აუდიტორი ან აუდიტის ჩატარება არაფერში ჭირდებათ. მათი მოთხოვნები უფრო აუდიტორულ მომსახურებაზე ორიენტირებული და აუდტორული ფირმები თუ დამოუკიდებელი აუდიტორები მხოლოდ ამ წყაროთი საზრდოობენ, რაც უმნიშვნელოა. შესაბამისად, აუდიტის პროფესიის მიმართ მოტივაცია ძლიერ დაბალია. მოქმედ აუდიტორებს შორის კი, დაუსაქმებლობის გამო, არაჯანსაღი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.



გარდა აღნიშნულისა, განსაკუთრებით საყურადღებოა ბუღალტრთა და აუდიტორთა საკვალიფიკაციო სწავლების (პროფესიული მომზადების) მდგომარეობა. საქართველოში ბუღალტრთა და აუდიტორთა საკვალიფიკაციო სწავლება 1999 წლიდან მიმდინარეობს ASSA-ის სასწავლო პროგრამის მიხედვით. ინგლისური პროგრამის (საქართველოს) ცენტრი არის გლაზგოში და პროგრამაც მათი ინსტრუქციის შესაბამისად ხორციელდება. დადებით ასპექტებთან ერთად, ამ პროგრამის უარყოფითი მახასიათებელი ისაა, რომ სწავლების პროცესი ხანგრძლივია, ბევრ საგანს (წიგნს) მოიცავს და აღსაქმელადაც რთულია. სამწუხაროდ, არ არსებობს ალტერნატივა (გამარტივებული ვარიანტი), თუნდაც იმ კატეგორიისათვის, რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი პროფესიული განათლება, პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება, მოღვაწეობენ ამ სფეროში და ფლობენ აწ უკვე გაუქმებული საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მერ გაცემულ სერთიფიკატებს (დაახლოებით 600 - 800 პირი). მათ ვადა რამდენიმე წელიწადში ეწურებათ და გაუჩნდებათ თავსატეხი. ამასთან, ასეთი სერთიფიკატის მფლობელ პირს და აუდიტორულ ფირმას, რომელსაც დაქირავებული ჰყავს ასეთი სერტიფიცირებული პირი, სავალდე-

ბულო აუდიტის ჩატარების უფლების არა აქვს (ანუ ისინი აუდიტს ვერ ჩატარებენ და მხოლოდ აუდიტორული მომსახურებით შეიძლება დაკავდნენ). ფაქტობრივად, მათ შეეზღუდათ საქმიანობის არეალი და დგანან აუცილებლობის წინაშე თავიდან გაიარონ სერთიფიცირების პროცესი.

სხვა ალტერნატიული პროგრამით სწავლების მოპოვების უფლება, გარკვეულ სირთულეებთან (ფინანსურ, ინტელექტურ თუ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან) არის დაკავშირებული.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა კი ისაა, რომ საქართველოში არ არსებობს ფუნქციურად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელი, ცენტრალიზებული ორგანო, რომელიც პასუხს აგებდეს შექმნილ ფაქტობრივ მდგომარეობაზე, ან ამ შედეგების ნეიტრალიზაციასა და მის შემდგომ პრევენციაზე.

საკუთრივ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის როლზე არ შევჩერდებით, საქმიანი ადამიანებისთვის ის ისედაც ცნობილია. ფაქტია, რომ ამ მხრივ მდგომარეობა საგანგაშო და სავალალოა. ამიტომ განსახორციელებელია რადიკალური ღონისძიებები.

პირვეყოფილად, აუცილებელია:

- საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;

- შეიქმნას კომპეტენტური და სათანადო ფუნქციებით აღჭურვილი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მარეგულირებელი საზედამხებელო ორგანო, რომლის უფლებამოსილება გავრცელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურზე, შემოსავლების სამსახურზეც აუდიტის განხორციელებაში და კერძო სექტორზეც;

- საზედამხებელო მარეგულირებელმა ორგანომ შეიმუშაოს შესაბამისი დებულება და განახორციე-

ლოს პროფესიულ ორგანიზაციათა აკრედიტაცია;

- საზედამხებელო ორგანომ აწარმოოს აუდიტორთა ერთიანი რეესტრი;

- ჩამოყალიბდეს აუდიტორთა და ბუღალტერთა განგრძობითი სწავლებისა და სერთიფიცირების გონივრული კონცეფცია;

- განისაზღვროს ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა და კრიტერიუმები;

- შემუშავდეს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი კომპანიებისთვის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოების მოტივაცია და მისი პრაქტიკული რეალიზაციის პერსპექტივა;

- განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა მიიმართოს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი კომპანიებისთვის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების სწავლების, ბუღალტრებისა და აუდიტორების მომზადების, ინსტრუმენტებითა და თვალსაჩინო მასალით უზრუნველყოფის ღონისძიებებზე.

საკანონმდებლო დონეზე, სავალდებულო გახედეს ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება და მისი დამოწმება სერთიფიცირებული ბუღალტრის ხელმოწერით (ეს აამაღლებს აუდიტზე/აუდიტორებზე მოთხოვნას და პასუხისმგებლობას).

ცხადია, ღონისძიებათა წარმოდგენილი ჩამონათვალი არ არის საბოლოო და დასაშვებია კორექტივების შეტანა. ამასთან, დაკავშირებულია ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზაციასთან, რაც პროფესიული ორგანიზაციის შესაძლებლობებს აღემატება.

ვფიქრობთ, აქ უცხოელი კოლეგების გამოცდილება და დონორების მხარდაჭერა აუცილებელია.

WHO IS RESPONSIBLE FOR THE CURRENT LEVEL OF ACCOUNTING AND AUDIT DEVELOPMENT IN GEORGIA?

Iuri Papaskua, Prof. Dr., Chief Executive Officer
Giorgi Rusiashvili, Prof. Dr., Member of the Board
The Federation of Auditors, Accountants and Financial Managers of Georgia

SUMMARY

It's obvious that globalization and integration processes in the world are irrevocable. All countries need to adapt to its mechanisms pragmatically instead of objecting them. Also it's useless to deny this process from economics point of view. Contrary globalization processes may lead to many good things for the national states. However the wise management also implies that some side effects to be remedied and fixed as already known to the developed countries and no – wheel invention is needed.

This article in particular critically highlights the recent “achievements” in Georgia when from the acknowledged regulation of the Audit field, country stepped significantly back towards so – called self-regulation of Audit sector and presented this transformation to the Western society as achievement, as its advertised and publicized, when its not as leading to very damaging processes in the country. However this is very much overlooked both in practical and scientific scale.